ლოგა

19 სურათებიანი დამაგება

გაზეთის № 1. ზარასკევი, 1 იანვარი 1910 წ. დამატების № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედის ნუგეში.

კვლავ!

—:—

ცრემლი, ვაება, საფლავის ჩრდილი,
დაბადებიდან თან დაგვყოლია:
ქანც-მილეული, სული მოღლილი
კვლავ ჰგოდებს, მოსთქვამს, კვლავ ობოლია.

***

მშობელ ქვეყანას კვლავ ნისლი ჰბურავს,
მთუთქავი ცეცხლი გულში გვიღვივის;
და წინად მთქმელი ჩვენი შავის დღის
უნდო ყორანი დაგვჩხავის... ყივის!..

***

ახ, მეგობარნო! კაეშანს მწველსა
ნუ გვიორკეცებთ, გვეყო ნაღველი;
ნურც მოგვილოცავთ ახალსა წელსა,
ჩვენთვის, ვით წინად, ეხლაც არს ძველი!..

***

ცრემლი, ნაღველი, კვნესა და სნება,
დაბადებიდან თან დაგვყოლია;
ქანც-მილეული, გვემული, გული
სულის კაეშანს გადაჰყოლია!..

ი. გრიშაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკატერინე გაბაშვილისა.

დღეს, პირველ იანვარს, სრული ორმოცი წელიწადი სრულდება, რაც ჩვენი მწერალი ქალი ეკატერინე გაბაშვილისა სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა.

სევდის ბნელს ღამეს.

სიმღერები.

შემთხვევით შეგხვდი მეგობართ შორის
გულგატეხილი სევდის ბნელს ღამეს;
მაგ იდუმალმა უცხო თვალებმა
სული მიმქრალი ულვთოდ აწამეს.
ოდეს შენს ბაგეს ამეტყველებდი,
თითქოს გალობა ზეცით მესმოდა;
შემოგხაროდა ზაფხულის ყვავილს,
უშენოდ ყოფნა მეძნელებოდა.
და ამას ვნანობ, რომ შენც მიმტყუნე,
დამგმე უმძრახმან, შავად დამსახე;
სალამი მოგეც, კიდეც მოჰფარდი,
ველარ ვიხილე ნათელი სახე.
ოჰ, რად ვერ იცან შენი მკობელი,
რისთვის დამაჭკნე ნელსხივოსანი;
რად ვერ მიმიხვდი ძალას ღვთიურსა,
ამაყს ტყვედ ხელში გყავდა მგოსანი!

* * *

ძილი გამიკრთა... ველი ჩემს მტანჯველს...
ლანდი სპეტაკი გამომიქროლებს;
გადავფრინდებით შორეულს კუნძულს,
დავმღერ და იგიც ხმას ამაყოლებს.
არა მსურს მასთან წყნარი სიმშვიდე,
მე მირჩევნია ღელვა-ჯოდება;
სულის ვრცელ ზღვაში თავსა დავიხრჩობ,
კუბოს შემიკრავს ჩემი ღვთაება.

* * *

მიახლოვდება ბინდით მოცული,
მარტო მიბნედილს ვხედავ შავს თვალებს;
მზის მწვანე ტოტსა არხევს შრიალით,
რიღაც იდუმალს გულით მავალებს.
ვინ ხარ, ასულო, ქმნილო აჩრდილად?
გნახე... საითღა მიეჩქარები?
სხივი მთვარისა შენ ერთს რად გამკობს!..
მოდი, მარტო მყოფს ნუ მეკრძალები!

* * *

კორდო, საშუალ უდაბურისავ,
შენს ნაზს კალთაზე ვნახე ქალწული;
ის ნარნარებდა, ვით ცის ვარსკვლავი,
მან გამინათა სული დახშული.
ეხლა სად არის მითხარ, ჰე კორდო,
ვისთანა ჰლაღობს, ვის უალერსებს?
ხმა ჩემის ჩანგის მას ყურს არ სწვდება,
მაშ სხვა მგოსანი ვინ უმღერს ლექსებს?

* * *

ოჰ, მოგონებავ, ნუ, ნუ მაშფოთებ,
ნურც გამახსენებ წარსულ დიდებას;
სატრფოს ღიმილი მსურს დავივიწყო,
წუთით მივეცე თავდავიწყებას.
მე თვით არ ვიცი, რისთვის მიყვარდა,
ასე თამამად რად ვაღმერთებდი;
რისთვის მივანდე სულის სიმშვიდე,
ღამეს უძილოდ რად ვათენებდი?
ახლა რაღა ვარ? — ცეცხლი ჩამქრალი,..
დაშრა ცრემლთ გუბე—ვერ ვიგრძნობ შვებას:
ოჰ, მოგონებავ, ნუ, ნუ მაშფოთებ...
მსურს აწ მივეცე თავდავიწყებას!

* * *

ღამის აჩრდილმა ადრე დამიჭკნო
ნორჩი ყვავილი გაზაფხულისა;
ყმაწვილკაცობა თან წარიტაცა,
შემრჩა ტკივილი დაჭრილ გულისა.
ჩემს მწარე ძახილს ხმას არვინ სცემდა,
ცივად მიმზერდა ღრუბლიდან მთვარე;

ნობელის პრემიით დაჯილდოვებულნი.

ზემოთა რიგი: 1. პროფ. ბრაუნი (მარცხნივ), 2. უმავთულო ტელეგრაფის გამომგონი მარკონი, 3. პროფ. ოსვალდი, 4. ბერნერტი (შუაში), 5. პროფ. კოხერი (მარცხნივ), 6. პოეტი ქალი ლაგერლეფი და 7. ესტურნელი.

ღამის აჩრდილი მითხრის სამარეს...
მიშველე, მმარხავს... ოჰ დამეხმარე!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

ვხედავ შავს სიზმარს... ვწევარ კუბოში...
ზარსა ჩამოჰკრეს სამგლოვიაროს;
ჰსურს სულის დემონს ადრე დამმარხოს;
ჰსურს ცივი მიწა გულს მომაყაროს.
რად ხარ სასტიკი, ჩემო ოცნებავ,
ვით თეთრი ცვილი, შენთვის ვდნებოდი;
ბნელს გინათებდი, გიკლავდი სევდას,
შენს გულის თქმასა ვემონებოდი!



ახალი თივის საგროვებელი.

მაინც ჩემი ხარ!.. არ ძალუძს საფლავს
მომიკლას გრძნობა და სიყვარული;
აგაფრენ ზეცას შენს უხილავად,
ძილით აღგადგენს ჩემი ჩურჩული!
და დაგაშორებ ამ ბედკრულ სოფელს,
მკერდს მომეყრდნობი, შემომერევი;
იქ თუნდ ვიტანჯოთ, მიწა ვერ გვნახავს,
იქ უკვდავების შთაგვნთქავს მორევი.

ა. შანშიაშვილი.

საახალწლო სურათები.

(თარგმანი)

ზამთრის მშვენიერი დილაა... თუმცა მზე იჭყიტება და ბზიარულად იცინის, მაგრამ იგი ისე შორს მოსჩანს, რომ მისი სხივები ვერ ებრძვიან სიცივის სუსხს.

დილის მშვენიერებას ის აორკეცებს, რომ ახალი წლის პირველი დილაა... ჩქარა ამოძრავდება ყველაფერი, დაიწყება ეტლების გრიალი, მხიარულ ქალების სრიალი, ახალდაწმენდილ ფეხსაცმელთა პრიალი, თვალების ერთი მეორისაკენ ტრიალი და ბოლოს მთვრალთა ღრიალი...

აგერ გამოჩნდა პირველი მომკითხავი. მხიარულის სახით, კოხტად დავარცხნილი და გალამაზებული, იგი არბის კიბეზე და არაწკუნებს ზარს. მერე ისევ მალე უკან ბრუნდება და მეეტლეს უბრძანებს მეორე ნაცნობთან წასვლას. მეორეს მესამე მოჰყვება, მესამეს-მეოთხე და ასე...

აი, გაჩერდა კოხტა ეტლი, საიდანაც გადმოხტა ქერა ახალგაზრდა, ცისფერ თვალებით და ხშირ ულვაშებით. კოხტად ავიდა კიბეზე და მოუთმენლად ჩამოჰკრა ზარს. კარგად იცის, რომ ქმარი სადარბაზოდ იქნება წასული მოსამსახურე გოგომ ჩამოართვა ბარათი და ღიმილით სთხოვა —„მობრძანდითო“. მერე შევიდა ბუდუარში და მშვენიერ კოპწია ქალის წინ გაქვავდა.

მოგრძო შავგვრემანი სახე, გიშერივით შავის თვალწარბით შემკობილი, ლალის ბაგენი, ბროლივით კბილებით დამშვენებულნი, წერწეტი ტანი და გედის გულმკერდი მასში ვნებათა-ღელვას იწვევს. არასოდეს არ უგრძვნია ასე ძლიერად მისი მშვენიერება; არასოდეს არა ყოფილა ასეთ-ოდ მარტო და ასე ახლო ამ მშვენიერებასთან.

სუნთქვა უძნელდება, სინათლე უბნელდება, მაგრამ სწრაფად მოდის გონს და აწვდის ხელს:

— მოგილოცავთ ახალწელს, ვისურვებ ბედნიერებას!..

მაგრამ დამთავრებას ვერ-კი ასწრებს, რომ ბამბასავით თეთრი რბილი ხელები კისერზე მოეხვევა. და ბროლის ბაგენი მოეკვრიან ხშირ ულვაშებს. დიდხანს არიან ეგრე შეერთებულნი, ცხოვრების ნექტარს დაწაფებულნი.

მაგრამ ამ დროს უკან რალაც შრიალი მოისმა. ერკვევიან...

„ღმერთო! ნუ თუ ჩემი ქმარი უკვე დაბრუნდა!“—ფიქრობს ქალი და სწრაფ შორდება ყმაწვილს. ყმაწვილი დაიბნევა, გაშრება, გაწითლდება, აღარ იცის, რა ჰქნას.

კარებიდან-კი იცქირება ჭალარა გარეული შუა ხანს გადასული, კოხტად ჩაცმული არისტოკრატი. თვალიდან მონოკლი ჩამოვარდნია, კარებში თითქოს გაქვავებულა.

ახალგაზრდა მირბის იმისკენ, ულოცავს ახალ წელს და ეხვევა:

— გმადლობთ! — ისმის ჭალარის ყრუ წალაპარაკება.

ახალგაზრდა გიჟივით გარბის ბუდუარიდან...

— მეტლე, გასწი შინისაკენ!

„მადლობა ღმერთს, გადავრჩი! ღმერთმა დასწყევლოს მოდარბაზენიც და მათი თავიც! ოჰ, ნახევარი სათიც არ გასულა და მე კი მთელ საუკუნედ მომეჩვენა. შინ კი მხოლოდ ოთხი საათისთვის მელოდება ჩემი ცუგრუმელა...“ —ფიქრობს იგი და თანაც ყურს უგდებს თავის გულის გახშირებულ ბაგაბუგს.—

—გმადლობთ, აღარსად წავალ დღეს! ცხენები გამოუშვი, შეუძლიანთ დაისვენონ! — თითქოს თავისთვის ეუბნება იგი მეეტლეს და არბის კიბეზე.

მოსამსახურე წყნარად აღებს კარებს და ისიც წყნარად



ახალი თივის საგროვებელი.

შედის ოთახში, რადგან ეშინიან, ცოლი არ მიეგებოს და არ შეამჩნიოს აღელვება.

სასტუმრო ოთახში მიდის სარკესთან და უნდა მოწესრიგდეს, მაგრამ... ოჰ, ღმერთო! ეს ცხადია თუ სიზმარი! სარკეში ნათლადა სჩანს, როგორ ეხვევა მეორე ოთახში იმის ცოლს მისივე მეგობარი მხატვარი. გაგიჟებული შევარ-

დება იგი ოთახში: ცოლი შიშით გაქვავდება. მხატვარი კი სიცილით წამოხტება და მოეხვევა.

მომილოცავს მეგობარო! ღმერთმა, ახალი ბედ-იღბალი არ მოგაკლოსთ!

— დიდად გმადლობთ და ასეთსავე ახალ ბედ-იღბალს თქვენც გისურვებთ!—ეუბნება გაბრაზიანებული თავის მეგობარს, რომელიც უკვე გვსასვლელ კარებშია, რათა ჩქარა დაეხწია აქედან თავი და... შინ ასეთივე სურათი ნახოს.

კორდელი.

ახალი თივის საგროვებელი.

—§§—

ამ ერთი წლის წინად ინგლისში გამოიგონეს სახელდახელო თივის საგროვებელი, რომელიც უდრის 12 კაცის მუშაობას. წარსულ ზაფხულს გერმანიაშიაც შემოიღეს ხმარებაში ეს თივის საგროვებელი, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანელ მუშა ხალხზე, რადგან ყოვლად იაფი, უბრალო და ხელსაყრელი რამ გამოდგა. არის სულ უბრალოდ მოწყობილი. მისი გაკეთება არც ერთ ჩვენებურ ხელოსანს არ გაუჭირდება, თუ კარგად დააკვირდება ნახატს.

ფრიად სასიამოვნო იქნება, თუ სოფლის ინტელიგენცია მიაქცევს ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებას და პრაქტიკულად დაანახვებს მუშა ხალხ-კაცობას, რამდენად იაფად და ადვილად შეიძლება საქმის წარმოება. ვიმედოვნებ აგრეთვე, რომ სამეურნეო საზოგადოება არ დასტოვებს უყურადღებოდ ამ ხელსაყრელ საქმეს და მისცემს მაგალითს სოფლის მუშა ხალხს.

რ. გ—შვილი.

ბოროტი მეკვლე

(საახალწლო სურათი)

მკაცრი, სუსხიანი ზამთარი იდგა. დედამიწას სქელი თოვლი მძიმე ზეწრადა ჰქონდა გადაფარებული. ქარი ზუზუნით, ერთი მხრიდან მეორე მხარეს დაჰქროდა და თან თოვლის ზედა ნაპირზე გაყინულს ფიფქს ჰაერში ანიავებდა. ზეცა განთიადის ნათელ სხივების მოლოდინში მოწყენილ ბუნებას გულკეთილი ღიმილით დასცქეროდა. შუადამე ახლოვდებოდა, დგებოდა ჟამი, როდესაც ძველი და ახალი ერთმანეთს უნდა შეჰხვედროდნენ. მალე ძველი წელიწადი ღამის სიბნელესთან ერთად უნდა გამქრალიყო ამ ქვეყნად და თავისი ადგილი განთიადის წინამორბედისათვის, ახალი წლისათვის, დაეთმო.

პაწია გორაკზე გაშენებული სოფელი ისე იყო თოვლში ღრმად ჩაფლული, რომ შორიდან აღარ მოსჩანდა. მხოლოდ ახლოდან შეამჩნევდით რომ სოფელი ჩვეულებრივ ზამთრის ღრმა ძილს არ მასცემოდა. აქა-იქ პატარა სარკმელებიდან მორცხვად გამოსჭვივოდა ფერ მიხდილი სინათლის შუქი. ბუხრის თავებიდან კვამლთან ერთად ცეცხლის ნაპერწკლებიც ამოცვიოდნენ ხოლმე ოჯახებში ყველანი თავისებურის ფუსფუსით იყვნენ გართულნი, ვის როგორ შეეძლო, ისე ემზადებოდა ახალი სტუმრის დასახვედრად. ძილისთვის არავინ ეცალა. სირცხვილიც იყო ახალწელიწადს ძილით ვინმე შეჰგებებოდა.

არ ეძინა ქვრივ თეკლეს ოჯახსაც. მისი პაწია შვილები, ოთხი ქალ-ვაჟი ბუხარში აგიზგიზებულ ცეცხლს მოსხდომოდნენ და ცხელ ნაცარში „ბიკიკებს“*) აცხობდნენ. სახლში ბავშვების მხიარული კისკისი ისმოდა. თეკლეს სევდიანი გულიც გახალისებოდა, სურდა საამურ სტუმარს პირმცინარედ, მხიარულად დახვედროდა თეკლე საახალწლო სუფრის გაშლას შეუდგა.

—ბას!.. —გაისმა სადღაც შორს სოფელში თოფის ხმა. ბავშვებს სიმხიარულეში თოფის ხმა არც-კი გაუგონიათ. პირველ სროლას მოჰყვა მეორე, მეორეს მესამე... სჩანდა ძველ წელიწადს ისტუმრებდნენ ასე უპატივცემლოდ.

თოფმა ახლო მეზობლებშიაც დაიჭექა. ძაღლებმა ყეფას უმატეს.

თეკლეს უფროსმა ვაჟმა 15 წლის დათამ ბუხარს თავი გაანება და დედას მიაშურა.

— დედილო!—წამოიძახა ბავშვმა. დავსცლი მეც თოფსა. შენ აკი დამპირდი, ახალწელიწადს ეს დასაცალე თოფიო.

დედამ **უარის** თქმა ვეღარ მოახერხა.

— კარგი, შვილო. კარებში დადექ და ჩახმახს ფრთხილად გამოსდე თითი,—უპასუხა დედამ. კედლიდან ძველი ქართული კაჟიანი თოფი ჩამოიღო, რომელიც დიდიხანია საფანტით იყო გატენილი, მაგრამ აქნობამდე დამცლელი არავინ გამოსჩენოდა. მტვერი გადასწმინდა, ჩახმახი ფეხზედ წამოაყენა, კარები გააღო და თოფი ფრთხილად ვაჟს გადასცა.

სახლიდან გაბნეულმა ცეცხლის ალის შუქმა ისედაც ნათელი ეზო კიდევ უფრო გააბრწყინა. მეზობლის ძაღლების ხრინწიანი წკავ-წკავი სახლში შემოიჭრა. პატარა დათამ ცალი ფეხი საძირკველზედ გადასდგა, თოფი ვაჟკაცურად მარჯვენა მკერდზედ მიიყრდნო და ჩახმახის გამოსაწევად თითი მოამზადა, რომ ამ დროს საზარელი სანახავი დაინახა. ეზოში ვეებერთელა ბანჯგვლიანი მგელი გამოჩნდა. თოფის ხმების და ძაღლებისაგან დამფრთხალი იგი უგზო-უკვლოდ გარბოდა ნადირი ერთს წუთს შეჩერდა. ვეებერთელა თვალები, რომელსაც სინათლის შუქზედ ნაკვერცხლებივით ლაპლაპებდნენ, დათას მიანათა.

— ვაიმე, დედავ!!..—გაისმა დათას სასოწარკვეთილი ყვირილი და ამ მწარე წამოძახილთან ერთად ძველმა თოფმა ძველებურად მრისხანე ხმით დაიგრიალა. თოფის ხმას მგელის საზარელი ყმუილი მოჰყვა...

ოჯახი აირია, შეშფოთდა ბავშვებმა თავი მიანებეს ბუხარს და ტირილ-კივილით დედას მიაშურეს. თეკლეც შიშისაგან დაიბნა. ვერ მიმხვდარიყო რა მოხდა სწრაფად მივარდა კარებს და საძირკველზე ჩაკეცილი დათა შინ შემოიყვანა. ბავშვს ჯერ კიდევ მაგრად ეკიდა თოფის ჩახმახზედ ხელი.

კარგა დრომ განვლო, სანამ ოჯახი დაშოშმინდებოდა დათოს აქნობამდე ვერ გამოერკვია: თოფი თავისთავად გავარდა, თუ მან გაისროლა.

დაჭრილ მგელს ძაღლები წასწეოდნენ მინდორში და შეუბრალებლადა ჯიჯგნიდნენ.

ეს იყო ახალწლის პირველი ბოროტი მეკვლე, რომლის დახვედრაში პატარა დათამ შემთხვევით ასეთი ვაჟკაცობა გამოიჩინა. მაგრამ ამდენ ალიაქოთში ცხელ ნაცარში ჩასმული „ბიკიკები“ სულმთლად ამომწვარიყვნენ.

ჯაფარ-ფაშა.

*) „ბაკიკებს“ რაჭაში ჰურისცომისაგან მოზელილ თხებს ირმებს, მამლებს და სხ. ეძახიან.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე** ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „სინათლე“, ტფილისი, რუსის ქუჩა. № 3